ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის რიგით 68-ე წლიური სესია
მადრიდი, ესპანეთის სამეფო
18-21 ნოემბერი, 2022

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ანგარიში

საქართველოს პარლამენტი

ანგარიში მოამზადა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის მდივანმა, საერთაშორისო დეპარატმენტის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა დავით ღუჭაშვილმა.

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის შემადგენლობა

ძირითადი შემადგენლობა

- ირაკლი ბერაია (დელეგაციის ხელმძღვანელი) ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“;
- ვლადიმერ ჩაჩიბაია ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“;
- გიორგი ხელაშვილი ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“;
- თინათინ ბოკუჩავა ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია;

სათადარიგო შემადგენლობა

- ნინო იობაშვილი ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“;
- დავით ბაქრაძე უფრაქციო;
- თეონა აქუბარდია უფრაქციო;
- ბექა ოდიშარია ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

ანგარიში

1. მიმდინარე წლის 18-21 ნოემბერს, ქ. მადრიდში (ესპანეთის სამეფო) ჩატარდა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის წლიური სესია, რომელშიც მონაწილეობდა ნატო-საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეცა შემდეგი შემადგენლობით: ირაკლი ბერაია (დელეგაციის ხელმღვანელი), გიორგი ხელაშვილი, ვლადიმერ ჩაჩიბაია და თეონა აქუბარდია.

2. სესიის ფარგლებში მიღებული იქნა ანგარიშები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, ალიანსის სტრატეგიული კონცეფციის იმპლემენტაცია, ნატო-ს კიბერგამოწვევები და სხვა. საქართველოს მოხსენებულია არაერთ ანგარიში და საუბარია ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერაზე. ასამბლეის მიერ იქნება მიღებული რეზოლუციები, სადაც დაგმობილია რუსეთის აგრესია, ხაზგასმულია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიალური მთლიანობის, ნატო-ს ღია კარის პოლიტიკის, სქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მედეგობის გაძლიერების მხარდაჭერა. უნდა აღინიშნოს, რომ საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტებმა გაიზიარეს და მხარი დაუჭრეს ქართული დელეგაციის მიერ წარდგენილ ცვლილებებს, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა როგორც ანგარიშებში, ასევე რეზოლუციებში საქართველოს მხარდამჭერი ჩანაწერები.

3. ასევე, სესიის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ორმხრივი შეხვედრები გამართა ესპანეთის, საფრანგეთის, ესტონეთის, ფინეთის, შვედეთის, რუმინეთის და თურქეთის დელეგაციის წევრებთან. შეხვედრებზე განხილული იყო საქართველოს და რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევები, რუსული ოკუპაცია და ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარება, უკრაინაში მიმდინარე ომი და მისი გავლენა რეგიონზე, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი, ამ პროცესში მიღწეული პროგრესი, ალიანსში საქართველოს გაწევრიანების მნიშვნელობა და საჭიროება, ისევე როგორც საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების და მედეგობის გაძლიერების მიზნით მხარდაჭერის გაზრდის აუცილებლობა. მხარეებმა ისაუბრეს ორმხრივ საპარლამენტო ფორმატში თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

4. დელეგაციის წევრები, ასევე შეხვდნენ სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენერალი მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს, ხავიერ კოლომინას. შეხვედრისას განხილულ იქნა რეგიონალური უსაფრთხოების გარემო, საქართველოს წინაშე არსებული უსაფრთხოების გამოწვევები, რუსეთიდან მომდინარე კონვენციური და ჰიბრიდული საფრთხეები, საქართველოს ევროატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის პროცესი, ასევე სვა მნიშვნელოვანი საკითხები.